მობილიზებისათვის და დარღვეული ვად(ებ)ის აღდგენისათვის. ვადის დარღვევის შემთხვევაში გამოყენებულ ...ნება ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება წარმოებს „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით. აღნიშნული „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნის გათვალისწინებით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის - ფორმა N2-ის და ფორმა N3–ის საფუძველზე და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, რასაც „შემსყიდველს“ წარუდგენს „მიმწოდებელი“. ერთობლივად შესყიდვის „გამაგრებითი“–რეკონსტრუქციის სამუშაოების „მიღება–ჩაბარებაზე“ ხელს აწერენ „შემსყიდველები“, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოების „მიღება–ჩაბარებაზე“ „შემსყიდველების“ მხრიდან ხელს აწერს მხოლოდ „სააგენტო.“

5.2. „მიღება-ჩაბარების“ აქტის, ფორმა N2-ის და ფორმა N3–ის საფუძველზე (დადასტურებული ინსპექტირების ჯგუფის მიერ) „მიმწოდებელი“ „სააგენტოს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას. საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურაში მითითებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულ ღირებულებას.

5.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე კონტროლს განახორციელებს „სააგენტოს“ სამართლებრივი აქტით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. „შემსყიდველის“ მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება 5.1. და 5.2. პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ერთობლივად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

6.3. საავანსო – წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას „მიმწოდებლის“ მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მხოლოდ სარემონტო ნაწილში (დანართი N2, ხარჯთაღრიცხვა N2) მისი ღირებულების არაუმეტეს 20%–ის ოდენობით. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში და მისი მოქმედების ვადა 50 (ორმოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის შესრულების საბოლოო ვადას. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდა, „მიმწოდებელი“ ვალდებულია „სააგენტოს“ წარუდგინოს შესაბამისი ვადით გაზრდილი ახალი საბანკო გარანტია ან მოახდინოს არსებული საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება.

6.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ სამართლებრივი აქტით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6.4. მე–5 მუხლში გათვალისწინებული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფასურს ანაზღაურებს საკუთარი ხარჯებით „მიმწოდებელი“.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

7.1. „სააგენტო“ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების კონტროლს (ზედამხედველობას). ინსპექტირების ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს (წარმოადგენდეს) როგორც „შემსყიდველების“ თანამშრომლების, ისე სხვა დაქირავებული პირებისაგან.

7.2. ინსპექტირების ჯგუფის მიერ ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტი (ინფორმაცია) „მიმწოდებლის“ მიერ უნდა იქნეს წარმოდგენილი არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა გონივრულ ვადებში.

7.4. დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ „გონივრულ ვადას“ განსაზღვრავს ინსპექტირების ჯგუფი. აღნიშნულმა ვადამ, თავის მხრივ გავლენა არ უნდა მოახდინოს სამუშაოების შესრულების ვადებზე.

7.5. „მიმწოდებელმა“ უნდა ითანამშრომლოს ინსპექტირების ჯგუფთან, რათა შეიმუშაოს და გაითვალისწინოს მათ მიერ მიწოდებული ნებისმიერი წინადადება თუ ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებას.

7.6. ინსპექტირების ჯგუფის წევრების პერსონალურ შემადგენლობას და მათ მიერ ჩასატარებელი სამუშაოს აღწერილობას, შესამოწმებელი ობიექტის ცალკეული კომპონენტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს „სააგენტო“.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. სამუშაოს შესრულებისას დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები. სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულების პირობების